ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი

საკონკურსო განცხადება და დოკუმენტაცია

ქ. თბილისის ლადო გუდიაშვილის სახელობის მოედნისა და მიმდებარე არეალის კონსერვაციის გეგმის პროექტი

ქ. თბილისი

2015

1. შესყიდვის ობიექტი: ქ. თბილისის ლადო გუდიაშვილის სახელობის მოედნისა და მიმდებარე არეალის კონსერვაციის გეგმის პროექტი (იხ, ტექნიკური დავალება);

2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა 200 000.00 (ორასი ათასი) ლარი - დღგ-ს ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 6 (ექვსი) თვისა.

4. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს პირს, რომელმაც კანონმდებლობით დადგენილი წესით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge), გადაიხადა კონკურსში მონაწილეობის საფასური 50,00 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით და წარმოადგენს საკონკურსო წინადადებას. (მიმღების ბანკი სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, მიმღების დასახელება ხაზინის ერთიანი ანგარიში, მიმღების ანგარიშის/სახაზინო კოდი: 707797130).

4.1 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

5. შეფასების კრიტერიუმები:

5.1 საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება 10-ქულიანი სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

5.1.1 კონკურსანტის მიერ საკონკურსო განაცხადის შესაბამისად წარმოდგენილი სადემონსტრაციო მასალა (იხ. **6.2**): კოეფიციენტი – 0,4

5.1.2 გამოცდილება: კოეფიციენტი -0,3

5.1.3 საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი –0,3

5.2 კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრები ყველაზე მაღალ ჯამურ ქულას მიანიჭებენ. საკონკურსო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს თავისი აზრი, რომელიც უნდა დაერთოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებას. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

6. კონკურსანტთა მიერ წარმოსადგენი პირველადი საკონკურსო წინადადება და დოკუმენტები:

6.1 გამოცდილება:

სამართლებრივი ფორმის მიუხადავად(ფიზიკური თუ იურიდიული პირი), სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს მრავალდისციპლინარულ სპეციალისტთა ჯგუფის მართვის 3 წლიანი და ანალოგიურ პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება, ხოლო სამუშაო ჯგუფის

ყველა წამყვან სპეციალისტს გააჩნდეს არანაკლებ 5 პროექტში მონაწილეობის გამოცდილება (წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, მათ შორის ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები, CV-ები, ცნობები პროექტ(ებ)ში მონაწილეობაზე და სხვ. როგორც ხელმძღვანელის, ასევე ყველა წამყვანი სპეციალისტის) შემდეგი მიმართულებით:

- კულტურული მემკვიდრეობის აღნუსხვა-ინვენტარიზაცია;
- ისტორიული ურბანული დასახლებების კვლევა და კულტურული მემკვიდრეობის გრაფიკული ფიქსაცია;
- კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია-რესტავრაცის პროექტირება;
- კულტურული მემკვიდრეობისა სფეროში კონცეფციებისა და მეთოდური ინსტრუქციების შემუშავება;
- კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსურ ობიექტებზე ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმების შემუშავება და კონსერვაციის გეგმის დოკუმენტის მომზადება;
- კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია და ფიზიკური სამუშაოების ზედამხედველობა;

ასევე, წამყვან სპეციალისტთა ჯგუფის შემადგენლობას უნდა გააჩნდეს მაღალი კვალიფიკაცია საკონკურსო დავალებით გათვალისწინებულ შემდეგ ძირითად სფეროებში:

- კულტურული მემკვიდრეობის თეორია, კონსერვაციის ექსპერტი, ისტორიული ქალაქების დაცვის საერთაშორისო მეთოდოლოგიები;
- არქიტექტურის რესტავრაცია;
- ხელოვნებათმცოდნეობა, არქიტექტურის ისტორია;
- ისტორიული დასახლებები, არქიტექტურა;
- საინჟინრო კონსტრუქციები;
- არქეოლოგია, ისტორია;
- სოციოლოგიური კვლევა;

გამარჯვების შემთხვევაში კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი წამყვანი სპეციალისტების ხელმოწერით დადასტურებული თანხმობის ერთიანი დოკუმენტი პროექტში მონაწილეობის შესახებ.

6.2 სადემონსტრაციო მასალა:

• განსაზღვრული ურბანული არეალის კონსერვაციის გეგმის დამუშავების ძირითადი ხედვა, მეთოდოლოგია, პრინციპები კონცეპტუალურ დონეზე.

• დისციპლინების მიხედვით წარმოდგენილი ხედვა.

• სამუშოების განხორციელების ეტაპობრიობა, თანმიმდევრობა და გეგმა გრაფიკი;

• კონსერვაციის გეგმით განსაზღვრულ არეალში შენობების არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა;

• კონკურსანტის ხედვა, თუ რა სახის უნდა იყოს კონსერვაციის გეგმის საბოლოო დოკუმენტი, რომელიც მომავალში განსაზღვრავს ისტორიულ-კულტურული არეალის რეაბილიტაციისა და განვითარების ძირითად მიმართულებებს.

ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტები (ნებისმიერი სახის ანალიზი, თუ დასკვნა) უნდა ემსახურებოდეს საერთო მიზანს – კონსერვაციის გეგმით განსაზღვრული უბნის არსებული მდგომარეობისა და მისი გაჯანსაღების გზების დახასიათებას.

საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ფორმატი - ზამბარით აკინძული A-4, A-3, ფორმატის ალბომი 2 ეგზემპლარად, შემდეგი შემადგენლობით:

- თავფურცელი, დადასტურებული ხელმოწერით ხელმძღვანელის მიერ;
- შესარჩევ ეტაპზე წარმოსადგენი ინფორმაცია და მონაცემები;
- სისტემატიზირებული, დასათაურებული უახლესი ფერადი ფოტომასალა;

ზემოხსენებული დოკუმენტები უნდა წარმოადგენდეს ილუსტრირებულ ანგარიშს ტექსტის ანალიტიკური ნაწილით, უახლესი ფოტომასალითა და შესაბამისი რეკომენდაციებით.

ალბომი წარმოდგენილი უნდა იყოს აგრეთვე ელექტრონულ (CD) ფორმატში.

6.3 რეკვიზიტები (დანართი4)

7. საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ვადა: 2015 წლის 27 აპრილიდან 05 მაისის ჩათვლით 14:00 საათამდე;

8. საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2015 წლის 05 მაისს 14:30 საათზე კონკურსანტების თანდასწრებით (კონკურსანტ(ის)თა გამოუცხადებლობა არ გამოიწვევს საკონკურსო წინადადებ(ის)ების დისკვალიფიკაციას);

წარმოსადგენი საკონკურსო წინადადება, სავალდებულო მასალები და ინფორმაცია შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე ბეჭდითა და ხელმოწერით დადასტურებული და წარმოდგენილი კონკურსში მონაწილეობის საფასურის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, ერთ დალუქულ კონვერტში ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით დადასტურებული (ელექტრონული ვერსია _ კომპაქტური დისკების - CD სახით, მყარი ასლების სახით) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N48, ააიპ თბილისის განვითარების ფონდი.

9. დაგვიანებით შემოსული საკონკურსო წინადადებები არ განიხილება და დაუბრუნდება წარმომდგენ პირებს.

10. კონკურსანტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

10.1 თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში;

10.2 თუ ის უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;

10.3 თუ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

10.4 თუ საკონკურსო წინადადება არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს ან/და წარმოდგენილია 4.1. პუნქტის დარღვევით.

11. გამარჯვებულის გამოვლენა და ხელშეკრულების დადება:

11.1 კონკურსის ჩატარების თარიღიდან (2015 წლის 05 მაისიდან) არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში მოხდება პრეტენდენტთა საკონკურსო წინადადებების შერჩევა/შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

11.2 გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გამარჯვეულ კონკურსანტთან დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. ხოლო, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნის შემთხვევაში ხელშეკრულების გაფორმება მოხდება გამარჯვებულის გამოვლენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

12. ანგარიშსწორების პირობები:

12.1 საკონკურსო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით - დღგ-ს ჩათვლით.

12.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ბიუჯეტის სახსრებით.

12.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

13. საბოლოო შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები:

13.1 საბოლოო პროდუქციის სახით წარმოდგენილი უნდა იყოს დამუშავებული დოკუმენტაცია: კვლევითი და საფიქსაციო დოკუმენტაცია უნდა დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. გრაფიკული მასალა შესაძლოა მომზადდეს, როგორც ხელით, ასევე ციფრულ (ვექტორული DWG, DXF PLN ან TIFF გაფართოების ფაილი _ ArchiCad, Auto CAD) ფორმატში).

_ მყარი ასლები _ ალბომი - 3 ეგზ;

_ ელექტრონული ფორმატი კომპაქტური დისკების სახით (CD- 2 ეგზ.).

14. კონკურსის მონაწილეთა საავტორო უფლებები და საკონკურსო მასალების კუთვნილება

საკონკურსო მასალები გადადის კონკურსის მომწყობის საკუთრებაში. მას უფლება აქვს გამოიყენოს ისინი თავისი შეხედულებისამებრ, საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობის დაცვით.

15. სახელშეკრულებო ღირებულების 200 000 (ორასი ათასი) ლარის ოდენობის შემთხვევაში, ხელშეკრულების გაფორმებამდე გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია,

ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2,5%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია კომისიის აპარატში, ქ. თბილისი, ზუბალაშვილების 48, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდში, საკონტაქტო პირი: გვანცა ბერუჩაშვილი ტელ: +995 99 555 785, ელ-ფოსტა g.beruchashvili@tdf.ge.

დანართი 4

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

საბანკო ანგარიშის ნომერი:

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება №15-0---
კონკურსის უ/ნ ნომერი
კლასიფიკატორის CPV კოდი

ქ. თბილისი ---------- 2015 წელი

1. **ხელშეკრულების დამდები მხარეები**

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი** (მის: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. 48, ს/კ 404384974, სახაზინო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, TRESGE22, GE24NB0330100200165022, ტელ: 0322470014) შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი

თავმჯდომარის **თემურ ხომერიკის** სახით და მეორეს მხრივ, **----------**, (მის: ქ. თბილისი, ------ ----------, ს/კ ----------, საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ---------- ბანკი, ბანკის კოდი --------- ------GE22, ა/ა ----------, ტელ: ----------) შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი დირექტორის **----------** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა “სახელმწიფო შეყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^2 მუხლის, „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვალის ბრძანება №3-ის. შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: **ქ. თბილისის ლადო გუდიაშვილის სახელობის მოედნისა და მიმდებარე არეალის კონსერვაციის გეგმის პროექტი**

2.2 შესყიდვის საშუალება: კონკურსი უ/ნ ----------.

2.3 შესყიდვის საფუძველი: “სახელმწიფო შეყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^2 მუხლისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვალის ბრძანება №3.

2.4 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ---------- (----------) ლარს, რომელიც მოიცავს, როგორც შესასყიდი ობიექტის ღირებულებას, ასევე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

2.5 დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა, თუ ამ ცვილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

2.6 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დასაშვებია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების მხოლოდ 10%-ის ოდენობით გაზრდა.

2.7 დაფინანსების წყარო: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის საბიუჯეტო სახსრები;

2.8 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 2015 წლის ---------- ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ხარისხი და გარანტია

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 6 (ექვსი) თვისა.

3.2 შესასყიდი ობიექტი სახით წარმოდგენილი უნდა იყოს დამუშავებული დოკუმენტაცია:

კვლევითი და საფიქსაციო დოკუმენტაცია უნდა დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. გრაფიკული მასალა შესაძლოა მომზადდეს, როგორც ხელით, ასევე ციფრულ (ვექტორული DWG, DXF PLN ან TIFF გაფართოების ფაილი _ ArchiCad, Auto CAD) ფორმატში).

_ მყარი ასლები _ ალბომი - 3 ეგზ;

_ ელექტრონული ფორმატი კომპაქტური დისკების სახით (CD- 2 ეგზ.).

3.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. 48;

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების დროულად და ჯეროვნად შესრულებაზე.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია მოქმედი ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს შესყიდვის მიწოდება ხელშეკრულების 3.1 პუნქტით დადგენილ ვადებში.

4.3 შესყიდვის ობიექტი და თანდართული მასალები გადადის შემსყიდველის საკუთრებაში და შემსყდიველი უფელებამოსილია გამოიყენოს ისინი თავისი შეხედულებისამებრ.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის ხარისხის კონტროლი.

5.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულებაზე, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს(ებს).

5.3 შესმყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩდება შესასყიდი ობიექტი უხარისხო, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებით დადგენილ ვადაში შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი შესასყიდი ობიექტი ან თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს ხარისხიანი შესასყიდი ობიექტის მიწოდებას და შემსყიდველს გადახდილი აქვს ამ უხარისხო შესასყიდი ობიექტის ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია დააბრუნოს აღნიშნული უხარისხო ობიექტის ღირებულება.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსით უზრუნველყოს ინსპექტირების ჩატარება აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა საჭირო მომსახურებით. თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

6. მიღება - ჩაბარების წესი

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტების (სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) საფუძველზე.

6.2 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით და ბეჭდით.

6.3 შესასყიდი ობიექტის მიღებას აწარმოებს ფონდის უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

6.4 თუ მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღი დაემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლოა განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიწოდების ვადის გადაცილებად.

6.5 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებული, ან უხარისხო (წუნდებული), ან არასრული თანმხლები დოკუმენტაციის მქონე შესყიდვის ობიექტის მიღებაზე და მის ანაზღაურებაზე.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორების ვალუტაა ქართული ლარი.

7.2 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია ანგარიშსწორება მოახდინოს მიღება-ჩაბარების და შესაბამისი დოკუმენტების (სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

7.4 თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება გადახდის ვადის გადაცილებად.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, თავიანთი ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიზეზით ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და შესასყიდი ობიექტის ვადის დარღვევით მიწოდების შემთხვევაში, დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.3 მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩამოერთმევა სრულად.

8.4 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას გადაწყვეტილების გაცნობიდან (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

8.5 მხარეები გამოიყენებენ ყველა შესაძლებლობას წარმოქმნილი უთანხმოების აღმოსაფხვრელად მოლაპარაკების გზით. უთანხმოების მოლაპარაკების გზით აღმოფხვრის შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს მიმართოს საერთო სასამართლოს.

8.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა თუ დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით, ნორმატიული და კანონქვემდებარე აქტებით ან/და სხვა განსაკუთრებული გარემოებებით, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ მისი მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10. სხვა პირობები (ხელშეკრულების შეწყვეტა, ხელშეკრულებაში

ცვლილებების შეტანა)

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე.

10.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, მისი მიღებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში.

10.3 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;

ბ) მიწოდების ვადის 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

გ) თუ შემსყიდველი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

10.4 ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.5 წინამდებარე ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს.

10.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

11.1 რისკების თავიდან აცილების მიზნით, გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე - საბანკო გარანტია ---------- ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2,5%-ის ოდენობით.

11.2 ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემდეგ (მიღება-ჩაბარების საბოლოო აქტის გაფორმების შემდეგ), საბანკო გარანტია მიმწოდებელს დაუბრუნდება მოთხოვნისთანავე. ასევე, შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს გარანტია, თუ მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოხდება ხელშეკრულების შეწყვეტა.

12. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
თბილისის განვითარების ფონდი	
თავმჯდომარე	დირექტორი
თემურ ხომერიკი	

დაზუსტდება ხელშეკრულების გაფორმებისას

ტექნიკური დავალება

ქ. თბილისი, ლადო გუდიაშვილის სახელობის მოედნისა და მიმდებარე არეალის კონსერვაციის გეგმის პროექტი

საფუძველი:

ქ. თბილისში, ლადო გუდიაშვილის სახელობის მოედანი და მისი მიმდებარე ტერიტორია, რომელსაც განსაკუთრებული მხატვრულ-ისტორიული და ურბანული მნიშვნელობა გააჩნია, წარმოადგენს კომპლექსურ ძეგლს (მიმდინარეობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არეალის კომპლექსურ ძეგლად აღიარების პროცედურები). საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კომპლექსურ ძეგლზე ითვალისწინებს კონსერვაციის გეგმის დამუშავებას.

❖ **გუდიაშვილის მოედანი და მიმდებარე ტერიტორია**

გუდიაშვილის (ყოფ. ალავერდოვის, აბასაბადის) მოედანი ქვემო კალას უბანში ისტორიული ძეგლებით მდიდარ გარემოში მდებარეობს. როგორც ძველი რუკებიდან ჩანს, გუდიაშვილის მოედანმა XIX საუკუნის პირველ ნახევარში მიიღო მოედნის სახე.

გუდიაშვილის მოედანი ერთ-ერთი უძველესია თბილისის ისტორიული ნაწილის ფარგლებში შემორჩენილ მოედნებს შორის. ის ქვემო კალას და სოლოლაკის მიჯნაზე მდებარეობს, რაც კარგად იკითხება ისტორიულ რუკებზე. სწორედ აქ ერწყმის ერთმანეთს შუასაუკუნეებრივი ფეოდალური ქალაქის გეგმარება, ქვემო კალას ქუჩებისა და ჩიხების ქსელი და XIX საუკუნის საიმპერიო მმართველობის დროს დაგეგმარებული სწორხაზოვანი ურბანული ქსოვილი. მოედანი ძირითადად გარშემორტყმულია XIX საუკუნის და XIX-XX საუკუნეების მიჯნის მხატვრულად ღირებული შენობებით, მრავლადაა შემორჩენილი ტიპიური თბილისური ხის აივნიანი სახლებიც. ტერიტორიაზე თანამედროვე ნაგებობებიც გვხვდება, რომლებიც ნაკლებად შეესაბამება მოედნის ისტორიულად ჩამოყალიბებულ სახეს. მოედნის ცენტრალური ნაწილი გამწვანებულ სკვერს უკავია.

ქ. თბილისის ისტორიულ-კულტურულ საყრდენ გეგმაზე ლ. გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე თითქმის მთელი პერიმეტრი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებად რეგისტრირებულ ნაგებობებს უკავია, ნაწილი კი ფონური განაშენიანების ნიშანს ატარებს.

გუდიაშვილის მოედნის სიახლოვეს მდებარეობს სხვადასხვა კონფესიის საკულტო ნაგებობები. ახოსპირელის ქუჩაზე გვერდიგვერდ დგას ორი სომხურ-მონოფიზიტური ეკლესია - ღვთისმშობლის სახ. „დიდი მოღნინი“ აგებული 1751 წელს და წმ. გიორგის სახ. “მცირე მოღნინი” აგებული 1754 წელს. XX საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება ანტონ კათალიკოსის ქ. №3-ში მდებარე გუმბათიანი სინაგოგა, რომელშიც ამჟამად

საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმია მოთავსებული. აბესაძის ქუჩაზე მდებარეობს ღმრთისმშობლის ამაღლების კათოლიკური ეკლესია, რომელიც 1805-1808 წწ-ში აიგო.

გუდიაშვილის მოედნის ის მხარე, რომელიც ახოსპირელის ქუჩით ასათიანის ქუჩისკენ გადის, სამი ისტორიული შენობისა და მათი ღია ეზოებისგან შემდგარ სტრუქტურას უკავია. ეს მონაკვეთი ისტორიულ რუკებზეც დაფიქსირებულია, როგორც სამკუთხედი ფორმის განაშენიანება. საბედნიეროდ, შენობები ჩვენ დრომდე ძირითადად ავთენტური სახით არის შემორჩენილი.

ლადო გუდიაშვილის სახელობის მოედნის კონტექსტის ლოკალიზების მიზნით და კონსერვაციის გეგმის დამუშავებისათვის შეირჩა მიკრო უბანი, რომელიც მოიცავს მოედნის მიმდებარე შუასაუკუნეებრივი გეგმარების ურბანულ ქსოვილს.

კონსერვაციის გეგმის დამუშავებისათვის შეირჩა უბანი, რომელზეც უნდა გაკეთდეს დაფარვითი ინვენტარიზაცია და ბარათები (65 შენობაზე): შალვა დადიანის ქუჩა N20/6-დან დადიანის ქუჩა N34/17-ის ჩათვლით, მიუყვება ლადო ასათიანის ქუჩას და მოიცავს შენობებს N17-დან N1-ის ჩათვლით. საზღვარი შემოდის პურის მოედანზე და აბო თბილელის ქუჩის კენტი ნომრების გავლით ადის გ. აბესაძის ქუჩამდე, მიუყვება კენტი ნომრების შენობებს N23-დან N17-ის ჩათვლით, უხვევს კუფტინის ქუჩაზე, შემოსაზღვრავს ლუწ ნომრებს და ადის ლერმონტოვის ქუჩამდე, მოიცავს შენობებს N1, N2, N3, N4, N6/20 სადაც იკვრება კონსერვაციის გეგმით განსაზღვრული ტერიტორია.

კონსერვაციის გეგმის დამუშავების დროს მითითებულ არეალში მდებარე ყველა შენობა-ნაგებობაზე უნდა შედგეს დოკუმენტაცია, რაც გულისხმობს ობიექტქბზე მხატვრულ - ისტორიული და ურბანული ღირებულების, ასევე მათი ფიზიკური მდგომარეობის ზოგად შეფასებას. ყველა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე შენობაზე დამუშავდეს ბარათები და პასპორტები (არსებული ბარათები განახლდეს: კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი (შესავსები ფორმა - დანართი 2); კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტი (შესავსები ფორმა - დანართი 3). ჩასატარებელია სოციოლოგიური კვლევა წინასწარ დამუშავებული კითხვარების საფუძველზე. ზონაში არსებულ ყველა შენობაზე უნდა მომზადდეს სისტემატიზირებული ფოტომასალა: ობიექტის საერთო ხედები, ფასადები, ინტერიერი, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით ღირებული ელემენტები, საერთო და ლოკალური დაზიანების ამსახველი ფოტომასალა, (მაღალი ხარისხისა და რეზოლუციის ფოტომასალა – TIFF ან JPEG გაფართოების ფაილი).

შემოსაზღვრული არეალი მოიცავს 63 შენობა-ნაგებობას და 2 ამჟამად ცარიელ მიწის ნაკვეთს.

1. შალვა დადიანის ქუჩა N20/6 ლერმონტოვის ქუჩა; (სკ 01.18.03.040.004)
2. შალვა დადიანის ქუჩა N22; (სკ 01.18.03.040.008) სააღრიცხვო ბარათი N010405034;

3. შალვა დადიანის ქუჩა N24; (სკ 01.18.03.040.011) სააღრიცხვო ბარათი N010405071;
4. შალვა დადიანის ქუჩა N24ა; (სკ 01.18.03.040.011) სააღრიცხვო ბარათი N010405057;
5. შალვა დადიანის ქუჩა N26; (სკ 01.18.03.040.020)
6. შალვა დადიანის ქუჩა N28; (სკ 01.18.03.040.032)
7. შალვა დადიანის ქუჩა N30; (სკ 01.18.03.040.018) სააღრიცხვო ბარათი N010405114;
8. შალვა დადიანის ქუჩა N32; (სკ 01.18.03.040.012) სააღრიცხვო ბარათი N010405137;
9. შალვა დადიანის ქუჩა N34/17 ლადო ასათიანის ქუჩა; (სკ 01.18.03.040.031); სააღრიცხვო ბარათი N010405160;
10. ლადო ასათიანის ქუჩა N15; (სკ 01.18.03.040.019) სააღრიცხვო ბარათი N010405143;
11. ლადო ასათიანის ქუჩა N13; (სკ 01.18.03.040.003) სააღრიცხვო ბარათი N010405120;
12. ლადო ასათიანის ქუჩა N11; (სკ 01.18.03.040.002)
13. ლადო ასათიანის ქუჩა N9/8 ბეგლარ ახოსპირელის ქუჩა; (სკ 01.18.03.053.009)
14. ლადო ასათიანის ქუჩა N9; (სკ 01.18.03.053.005)
15. ლადო ასათიანის ქუჩა N7; (სკ 01.18.03.053.002)
16. ლადო ასათიანის ქუჩა N5; (სკ 01.18.03.053.001)
17. ლადო ასათიანის ქუჩა N3; სააღრიცხვო ბარათი N010405091;
18. პურის მოედანი N2; (სკ 01.18.03.053.008) სააღრიცხვო ბარათი N010405099;
19. პურის ჩიხი N2; (სკ 01.18.03.053.006)
20. პურის ჩიხი N3; (სკ 01.18.03.054.005)
21. აბო თბილელის ქუჩა N1; (სკ 01.18.03.050.003) სააღრიცხვო ბარათი N010405004;
22. აბო თბილელის ქუჩა N3/8 გუდიაშვილის მოედანი; (სკ 01.18.03.050.011) დანგრეული
23. აბო თბილელის ქუჩა N5; (სკ 01.18.03.050.008)
24. აბო თბილელის ქუჩა N7; (სკ 01.18.03.050.004)
25. აბო თბილელის ქუჩა N7; (სკ 01.18.03.050.007)
26. აბო თბილელის ქუჩა N9; (სკ 01.18.03.054.002) სააღრიცხვო ბარათი N010405055;
27. აბო თბილელის ქუჩა N11; (სკ 01.18.03.054.001)
28. აბო თბილელის ქუჩა N13; (სკ 01.18.03.054.006)
29. ლერმონტოვის ქუჩა N1/17 კუფტინის ქუჩა; (სკ 01.18.03.039.013) სააღრიცხვო ბარათი N010406160;
30. ლერმონტოვის ქუჩა N2; (სკ 01.18.03.040.015) სააღრიცხვო ბარათი N010405002;
31. ლერმონტოვის ქუჩა N3; (სკ 01.18.03.039.016) სააღრიცხვო ბარათი N010406152;
32. ლერმონტოვის ქუჩა N4; (სკ 01.18.03.040.023)
33. ბეგლარ ახოსპირელის ქუჩა N11; (სკ 01.18.03.040.014) სააღრიცხვო ბარათი N010405117;
34. ბეგლარ ახოსპირელის ქუჩა N9/8 ბეგლარ ახოსპირელის III ჩიხი; (სკ 01.18.03.040.027) სააღრიცხვო ბარათი N010405094;
35. ბეგლარ ახოსპირელის ქუჩა N7; (სკ 01.18.03.040.025) სააღრიცხვო ბარათი N010405083;
36. ბეგლარ ახოსპირელის ქუჩა N6; (სკ 01.18.03.054.004)
37. ბეგლარ ახოსპირელის ქუჩა N6; მოღნინის ეკლესია სააღრიცხვო ბარათი N010405092;
38. ბეგლარ ახოსპირელის ქუჩა N5/6 ბეგლარ ახოსპირელის III ჩიხი; (სკ 01.18.03.040.036)
39. ბეგლარ ახოსპირელის ქუჩა N4; (სკ 01.18.03.052.002) სააღრიცხვო ბარათი N010405067;

40. ბეგლარ ახოსპირელის I ჩიხი N3; (სკ 01.18.03.040.024) სააღრიცხვო ბარათი N010405033;
41. ბეგლარ ახოსპირელის II ჩიხი N4/3; (სკ 01.18.03.040.001) სააღრიცხვო ბარათი N010405040;
42. ბეგლარ ახოსპირელის III ჩიხი N1/2 ბეგლარ ახოსპირელის II ჩიხი; (სკ 01.18.03.040.033) სააღრიცხვო ბარათი N010405058;
43. ბეგლარ ახოსპირელის III ჩიხი N1/3; (სკ 01.18.03.040.006) სააღრიცხვო ბარათი N010405065;
44. ბეგლარ ახოსპირელის III ჩიხი N5; (სკ 01.18.03.040.009)
45. ბეგლარ ახოსპირელის III ჩიხი N7; (სკ 01.18.03.040.030)
46. ბეგლარ ახოსპირელის III ჩიხი N9; (სკ 01.18.03.040.005)
47. ბეგლარ ახოსპირელის III ჩიხი N1/17 ლადო ასათიანის ქუჩა; (სკ 01.18.03.040.021)
48. ბეგლარ ახოსპირელის გასასვლელი N3/7 ჯიბლაძის ქუჩა; (სკ 01.18.03.050.009) სააღრიცხვო ბარათი N010405043;
49. ჯიბლაძის ქუჩა N5; (სკ 01.18.03.050.006) სააღრიცხვო ბარათი N010405028;
50. ჯიბლაძის ქუჩა N3; (სკ 01.18.03.050.002)
51. გუდიაშვილის მოედანი N4; (სკ 01.18.03.040.007)
52. გუდიაშვილის მოედანი N6/1 ბეგლარ ახოსპირელის I ჩიხი; (სკ 01.18.03.040.013) სააღრიცხვო ბარათი N010405024;
53. გუდიაშვილის მოედანი N2; (სკ 01.18.03.041.013) სააღრიცხვო ბარათი N010406173;
54. გუდიაშვილის მოედანი N7/2; N7/3; (სკ 01.18.03.052.001) სააღრიცხვო ბარათი N010405042;
55. გუდიაშვილის მოედანი N8; (სკ 01.18.03.050.010) სააღრიცხვო ბარათი N010405036;
56. გუდიაშვილის მოედანი N9; (სკ 01.18.03.050.001)
57. გია აბესაძის ქუჩა N23/1; (სკ 01.18.03.041.008) დანგრეული
58. გია აბესაძის ქუჩა N21/14 კუფტინის ქუჩა; (სკ 01.18.03.041.007) სააღრიცხვო ბარათი N010406159;
59. გია აბესაძის ქუჩა N19; (სკ 01.18.03.041.009) სააღრიცხვო ბარათი N010406143;
60. გია აბესაძის ქუჩა N17; (სკ 01.18.03.041.006)
61. კუფტინის ქუჩა N12; (სკ 01.18.03.041.004)
62. კუფტინის ქუჩა N10; (სკ 01.18.03.041.002)
63. კუფტინის ქუჩა N8; (სკ 01.18.03.041.003)
64. კუფტინის ქუჩა N6; (სკ 01.18.03.041.001)
65. კუფტინის ქუჩა N4; (სკ 01.18.03.041.005)

აღნიშნულიდან 33 ობიექტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობებია. სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად, კონსერვაციის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს როგორც კომპლექსში შემავალი ნაგებობების სათანადო კვლევასა და გრაფიკული დოკუმენტაციის შედგენას, ისე კომპლექსის ქსოვილის, ანუ მისი ინტეგრულობის შეფასებას და დაცვის საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიის შემუშავებას.

<u>2007-2013 წლებში გუდიაშვილის მოედანზე კონსერვაციის (ძეგლთა დაცვითი) მეთოდოლოგიის დამუშავების გარეშე ჩატარებული სამუშაოების შედეგად ურბანულმა კომპლექსმა მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა.</u>

- **კონსერვაციის გეგმის მიზანი და ძირითადი პირობები**

,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ'' (თავი VIII, მუხლი 42.2) საქართველოს კანონის შესაბამისად, "თბილისის ისტორიული ნაწილის ისტორიულ-კულტურულ საყრდენ გეგმაზე'' (2006-2007) დაყრდნობით უნდა დამუშავდეს თბილისის ისტორიული ნაწილის "განაშენიანების რეგულირების გეგმა". შესაბამისად გუდიაშვილის მოედნისა და მიმდებარე (გ. აბესაძის, ახოსპირელის, კუფტინის, ლ. ასათიანის, აბო თბილელის ქუჩებისა და ახოსპირელის ჩიხების ჩათვლით) ურბანული არეალის კონსერვაციის გეგმის მომზადებისას ისეთი სახით უნდა მოხდეს საინფორმაციო მასალის დამუშავება, რომ მომავალში მოხდეს მისი "განაშენიანების რეგულირების გეგმისათვის" გამოყენება (დამუშავებული საინფორმაციო მასალა განაშენიანების რეგულირების გეგმაში აისახება კონკრეტულად ამ არეალში).

<u>კონსერვაციის გეგმის ამოცანას წარმოადგენს უხეში ჩარევების შედეგების ანალიზის საფუძველზე მიყენებული ზიანის მინიმალიზაციის ღონისძიებების განსაზღვრა და მკაფიო რეკომენდაციების შემუშავება. შესაბამისად</u> კონსერვაციის გეგმაზე მუშაობისას გათვალისწინებული უნდა იქნას 2007 წელს შესრულებულ კვლევით მასალა.

კონსერვაციის გეგმა წარმოადგენს სინთეზურ დოკუმენტს, სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული, როგორც განაშენიანების, ისე თითოეული ისტორიული ნაგებობის ფიზიკური და სივრცით-გეგმარებითი ავთენტურობის შენარჩუნება, თბილისური ეზოს სივრცით-კომპოზიციური სპეციფიკის გათვალისწინებით;

თითოული ნაგებობისთვის უნდა დამუშავდეს ''ჩარევის სახელმძღვანელო პრინციპები'', რომელსაც დაეფუძნება მომავალში საპროექტო დოკუმენტაცია, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი: სარესტავრაციო მეთოდოლოგია; ტრადიციული სამშენებლო მასალებისა და სამშენებლო მეთოდების ანალიზი; ტრადიციული, დასაშვები თავსებადი თანამედროვე ტექნოლოგიები ნაგებობათა კონსტრუქციული გამაგრებისთვის.

კონსერვაციის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს დანგრეული შენობების ადგილას, განაშენიანების მასშტაბისა და არსებული ურბანული ქსოვილის გათვალისწინებით, მიწის ნაკვეთის განაშენიანების კონცეფციას, ახალი ნაგებობების მასშტაბისა და დიზაინის (infill Design) სახელმძღვანელო პრიციპებს.

გუდიაშვილის მოედნის კონსერვაციის გეგმის დამუშავების დროს გათვალისწინებულ იქნას UNESCO, ICOMOS და ევროსაბჭოს კონვენციები, ქარტიები და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დარგში არსებული საერთაშორისო სტანდარტები.

დასამუშავებელია მიმართულებები და თემები შემდეგ ობიექტებზე:

1. აბო თბილელის ქუჩა N1; (სკ 01.18.03.050.003) სააღრიცხვო ბარათი N010405004;
2. აბო თბილელის ქუჩა N3/8 გუდიაშვილის მოედანი; (სკ 01.18.03.050.011) დანგრეული
3. ლერმონტოვის ქუჩა N2; (სკ 01.18.03.040.015) სააღრიცხვო ბარათი N010405002;

4. ბეგლარ ახოსპირელის ქუჩა N11; (სკ 01.18.03.040.014) სააღრიცხვო ბარათი N010405117;
5. ბეგლარ ახოსპირელის ქუჩა N9/8 ბეგლარ ახოსპირელის III ჩიხი; (სკ 01.18.03.040.027) სააღრიცხვო ბარათი N010405094;
6. ბეგლარ ახოსპირელის ქუჩა N7; (სკ 01.18.03.040.025) სააღრიცხვო ბარათი N010405083;
7. ბეგლარ ახოსპირელის ქუჩა N4; (სკ 01.18.03.052.002) სააღრიცხვო ბარათი N010405067;
8. ბეგლარ ახოსპირელის I ჩიხი N3; (სკ 01.18.03.040.024) სააღრიცხვო ბარათი N010405033;
9. ბეგლარ ახოსპირელის II ჩიხი N4/3; (სკ 01.18.03.040.001) სააღრიცხვო ბარათი N010405040;
10. ბეგლარ ახოსპირელის III ჩიხი N1/2 ბეგლარ ახოსპირელის II ჩიხი; (სკ 01.18.03.040.033) სააღრიცხვო ბარათი N010405058;
11. ბეგლარ ახოსპირელის III ჩიხი N1/3; (სკ 01.18.03.040.006) სააღრიცხვო ბარათი N010405065;
12. ბეგლარ ახოსპირელის III ჩიხი N5; (სკ 01.18.03.040.009)
13. ბეგლარ ახოსპირელის III ჩიხი N7; (სკ 01.18.03.040.030)
14. ბეგლარ ახოსპირელის III ჩიხი N9; (სკ 01.18.03.040.005)
15. ბეგლარ ახოსპირელის გასასვლელი N3/7 ჯიბლაძის ქუჩა; (სკ 01.18.03.050.009) სააღრიცხვო ბარათი N010405043;
16. გუდიაშვილის მოედანი N4; (სკ 01.18.03.040.007)
17. გუდიაშვილის მოედანი N6/1 ბეგლარ ახოსპირელის I ჩიხი; (სკ 01.18.03.040.013) სააღრიცხვო ბარათი N010405024;
18. გუდიაშვილის მოედანი N2; (სკ 01.18.03.041.013) სააღრიცხვო ბარათი N010406173;
19. გუდიაშვილის მოედანი N7/2; N7/3; (სკ 01.18.03.052.001) სააღრიცხვო ბარათი N010405042;
20. გუდიაშვილის მოედანი N8; (სკ 01.18.03.050.010) სააღრიცხვო ბარათი N010405036;
21. გუდიაშვილის მოედანი N9; (სკ 01.18.03.050.001)
22. გია აბესაძის ქუჩა N23/1; (სკ 01.18.03.041.008) დანგრეული
23. გია აბესაძის ქუჩა N21/14 კუფტინის ქუჩა; (სკ 01.18.03.041.007) სააღრიცხვო ბარათი N010406159;
24. გია აბესაძის ქუჩა N19; (სკ 01.18.03.041.009) სააღრიცხვო ბარათი N010406143;
25. გია აბესაძის ქუჩა N17; (სკ 01.18.03.041.006)
26. კუფტინის ქუჩა N12; (სკ 01.18.03.041.004)
27. კუფტინის ქუჩა N10; (სკ 01.18.03.041.002)
28. კუფტინის ქუჩა N8; (სკ 01.18.03.041.003)
29. კუფტინის ქუჩა N6; (სკ 01.18.03.041.001)
30. კუფტინის ქუჩა N4; (სკ 01.18.03.041.005)

- **სახელოვნებათმცოდნეო კვლევა**

საარქივო-ბიბლიოგრაფიული მასალისა და ძეგლის კონსერვაციული ისტორიის მიმოხილვის საფუძველზე უნდა მოხდეს დადგენილი ტერიტორიის ისტორიული, არქიტექტურული, მხატვრული, სოციალური მნიშვნელოვანების შეფასება, გამოიკვეთოს დასაცავი ფასეულობანი (მათ შორის მოხდეს დაკარგულ ფასეულობათა შეფასება); შემუშავებულ იქნას ამ ფასეულობათა დაცვის რეკომენდაციები. დამუშავდეს ცალკეული ძეგლების ბარათები და პასპორტები (არსებული ბარათები განახლდეს). ძეგლის ფაილი უნდა შეიცავდეს შემდეგ პუნქტებს: აღწერა, მნიშვნელობა, ჩარევის ისტორია, ავთენტურობის შეფასება, ჩარევის რეკომენდაცია, ფოტო მასალა.

- **გრაფიკული და ფოტო-ფიქსაცია**

საჭიროა ტერიტორიისა და ცალკეული (კონსერვაციის გეგმის მიერ განსაზღვრული) ისტორიული ნაგებობის ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია. (სარესტავრაციო ობიექტებისთვის დეტალური არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი).

- არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები ლოკალურ დაზიანებათა დატანით კროკები; ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მასშტაბში გამოხაზული ნახაზები გენგეგმა - მ. 1:500 ან 1:1000; (სართულების გეგმები, ჭრილები, ფასადები - მ. 1:50; განშლები -1:100, არქიტექტურული დეტალები - მ. 1:25, 1:20, 1:10; შაბლონები - მ. 1:1; ტექსტური აღწერილობა);

დამუშავდეს მონიშნული უბნის სიტუაციური გენ-გეგმა, ტერიტორიის გეგმა, დეტალური ფოტო-დოკუმენტაცია, კომპლექსის განშლები.

უბნის ტერიტორიაზე არქეოლოგიურად მგრძნობიარე ზონების დადგენა (ერთ-ერთი თემატური გენ-გეგმის საფუძველი); რეკომენდაციები ტერიტორიაზე ჩასატარებელი სამუშაობის დროს არქეოლოგიური ზედამხედველობის შესახებ და რეკომენდაციები სამომავლო არქეოლოგიური შესწავლის თაობაზე.

- **საინჟინრო-კონსტრუქციული და კომუნიკაციების შეფასება**

ყველა შენობაზე მომზადდეს ფიზიკური მდგომარეობის შესახებ საინჟინრო შეფასება და გეოლოგიური დასკვნა. ზოგადი რეკომენდაციები სამომავლოდ შენობების გაჯანსაღება-გამაგრებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად, რომელიც შეიძლება დაეყრდნოს რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში ჩატარებულ კვლევას;.

- **კონსერვაციის შეფასება**

ძეგლზე განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შეფასების საფუძველზე უნდა დამუშავდეს კონსერვაციის მდგომარეობის ანგარიში.

- **სოციოლოგიური კვლევა**

სასურველია სოციოლოგიური კვლევის ჩატარება, რათა უბნის მნიშვნელოვანების განსაზღვრისას ზუსტად გამოიკვეთოს ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის მისი სპეციფიური ღირებულებაც.
(კითხვარის დამუშავება, საველე და ინდივიდუალური გამოკითხვების ჩატარება, შედეგების ანალიზი, ანგარიში).

- **ინტერდისციპლინარული კვლევის ანალიზი, ჩარევის სახელმძღვანელო პრინციპები**

ინტერდისციპლინარული საპროექტო ჯგუფის მიერ შექმნილი დოკუმენტაციის, კვლევების კომპილაცია, ანალიზი, კომპლექსის დოსიეს შექმნა უნდა განახორციელოს კონსერვაციის ექსპერტმა, თემატური გეგმების დამუშავებისა და კვლევის შედეგად გამოვლენილი ინფორმაციისა და რეკომენდაციების დატანით. მნიშვნელოვანია, ჩარევის სახელმძღვანელო მეთოდოლოგიის დამუშავება, როგორც დადგენილი ტერიტორიისთვის, ისე ცალკეული ობიექტისათვის.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, კონსერვაციის გეგმის მომზადებისთანავე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და პირველ რიგში დამუშავდეს ააიპ თბილისის განვითარების ფონდის საკუთრებაში არსებული შენობების აღდგენა-რესტავრაციის პროექტები. კერძოდ,

1. გუდიაშვილის მოედანი N2; XIX ს. სააღრიცხვო ბარათი N010406173;
2. ლერმონტოვის ქუჩა N2; XIX ს. სააღრიცხვო ბარათი N010405002;
3. გუდიაშვილის მოედანი N6/1 ბეგლარ ახოსპირელის I ჩიხი; XIX ს. სააღრიცხვო ბარათი N010405024;
4. გუდიაშვილის მოედანი N7/2 ბეგლარ ახოსპირელის ქუჩა; XIX ს. სააღრიცხვო ბარათი N010405048;
5. გუდიაშვილის მოედანი N7/3 ბეგლარ ახოსპირელის გასასვლელი; XIX ს. სააღრიცხვო ბარათი N010405042;
6. გუდიაშვილის მოედანი N8; XIX ს. სააღრიცხვო ბარათი N010405036;
7. გია აბესაძის ქუჩა N23/1, ამჟამად დანგრეული ნაგებობა.

კონსერვაციის გეგმის გეგმა-გრაფიკი

1. მოსამზადებელი სამუშაოები: საარქივო-ბიბლიოგრაფიული კვლევა, კერძო და სახელმწიფო არქივებში დაცული სხვადასხვა პერიოდის ფოტო და გრაფიკული დოკუმენტაციის მოპოვება, ძეგლის კონსერვაციის ისტორიის დადგენა, დაზვერვითი სამუშაოები ადგილზე, სამუშაოების ზუსტი განრიგის დამუშავება, ლოჯისტიკის მომზადება და ა.შ. (8 კვირა).

2. საველე სამუშაოები: ტერიტორიისა და ძეგლების ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია, სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, არქეოლოგიური დასკვნა, საინჟინრო (გეოლოგიური, კონსტრუქციული და სხვა მომიჯნავე ნაწილების) დასკვნა და ა.შ. 12 კვირა).

3. დოკუმენტის დამუშავება: ა) დოკუმენტაციის შექმნა (ანაზომების მომზადება), თეორიული დოკუმენტაციის დასრულება, ფოტო-დოკუმენტაციის კლასიფიკაცია, თემატური გეგმების დამუშავება; ანალიზი, ჩარევის მეთოდოლოგიის დამუშავება და ა.შ. (16 კვირა)

4. სინთეზური დოკუმენტის დასრულება, შემოწმება-კორექცია და ტექნიკური გამოშვება (10 კვირა).

გრაფიკი

სულ სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა 26 კვირა (6 თვე)

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26
1	მოსამზადებელი 8 კვირა																										
2	საველე 12 კვირა																										
3	კამერული დოკუმენტაცია. ანალიზი, შედგენა, 16კვირა																										
4	დამუშავება/ დასრულება 10 კვირა																										

მომსახურების განხორციელების ეტაპები:

I **ეტაპი** - მოსამზადებელი სამუშაოები;
II **ეტაპი** - კვლევები და ანალიზი;
III **ეტაპი** - გრაფიკული მასალის დამუშავება გამოხაზვა;
IV **ეტაპი** - კონსერვაციის დოკუმენტის მომზადება;

მომსახურების გაწევის პროცესში, სხვა შესაბამის ქმედებებთან ერთად უნდა განხორციელდეს შემდეგი სამუშაოები:

- ისტორიული უბნის შესახებ პირველადი ინფორმაციის შეგროვება;
- საკვლევი ტერიტორიის რეტროსპექტიული განვითარების ანალიზი;
- ურბანული მემკვიდრეობის დაცვის სფეროებში კონცეფციებისა და მეთოდური ინსტრუქციების შემუშავება;
- საკვლევ ტერიტორიაზე ზეგავლენის მქონე ფაქტორების და პროცესების იდენტიფიკაცია და მათი ურთიერთკავშირის ანალიზი;
- მემკვიდრეობის რესურსების, მათ შორის მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის დახასიათება;
- თბილისის ისტორიული უბნის არქიტექტურული ღირებულების შეფასება-დამუშავება;
- ისტორიული ქსოვილის ავთენტურობისა და მთლიანობის ანალიზი;
- საველე მონაცემების შეგროვება და ანალიზი;
- შეფასების ანგარიშისა და სამოქმედო გეგმის შედგენა;
- ისტორიული უბნის რეაბილიტაციისა და მდგრადი განვითარებისათვის რეკომენდაციების და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება;
- დოკუმენტების წარდგენა და კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან;
- შენიშვნების კორექტირება და საბოლოო პროდუქტის დამუშავება.

<u>საკონსერვაციო გეგმის არეალი, დანართი 1</u>

<u>**დანართი 2**</u>

დამტკიცებულია
საქართველოს კულტურის, ძეგლთა
დაცვისა და სპორტის მინისტრის
ბრძანება №3/175
2007 წლის 25 სექტემბერი

სახელმწიფო სარეგისტრაციო
კოდი 450.190.000.22.028.010.868

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი
№

ფოტოსურათი

1. სახელწოდება

2. ადგილმდებარეობა / მისამართი

2.1 ზუსტი მისამართი	
ადმინისტრაციული ერთეული (ავტონომიური რესპუბლიკა, ქალაქი, დაბა, სოფელი)	
ქალაქის რაიონი	
ქუჩა (ქუჩები)	
შენობის №	
2.2 გეოგრაფიული / მდებარეობა	
ისტორიული მხარე	
გეოგრაფიული ერთეულის სახელწოდება	
ისტორიული დასახლების სახელწოდება	
მანძილი და მიმართულება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან	

3. სახეობა

არქიტექტურის	
არქეოლოგიური	

საინჟინრო	
მემორიალური	
ქალაქთმშენებლობის (ურბანული)	
საბაღე-საპარკო ხელოვნების და ლანდშაფტური არქიტექტურის	
მონუმენტური სახვითი ხელოვნების	
პალეოგრაფიული	
ეთნოგრაფიული	
მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი	

4. თარიღი (პერიოდი, საუკუნე, ზუსტი თარიღი)

5. სტატუსი და კატეგორია

5.1. სტატუსი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
5.2. სტატუსის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
5.3. სტატუსის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
5.4. დოკუმენტის №	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
5.5. კატეგორია	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
5.6. კატეგორიის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
5.7. კატეგორიის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
5.8. დოკუმენტის №	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
5.9. რეესტრის №		
5.10. რეესტრში შეტანის თარიღი		

6. ფუნქცია

დასახელება	თავდაპირველი	ამჟამინდელი
6.1. რელიგიური		
6.2. სათავდაცვო		
6.3. საერო		

7. საკუთრება

იურიდიული პირი	
ფიზიკური პირი	
და სხვა	

8. მოკლე დახასიათება

9. ფიზიკური მდგომარეობა

9.1. ზოგადი შეფასება (კარგი, საშუალო, ცუდი, ძალიან ცუდი, დანგრეული)

9.2. მდგომარეობის მოკლე აღწერა

9.3. დაზიანების გამომწვევი მიზეზი

ბუნებრივი	
ადამიანის ზემოქმედება	
სხვა კონკრეტული მიზეზი	

9.4. მოსალოდნელი საშიშროება და ჩასატარებელი ღონისძიებები

10. მითითება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის/ძეგლის შესახებ არსებულ დოკუმენტაციასა და ბიბლიოგრაფიაზე

პასპორტი/ სააღრიცხვო ბარათი	
გრაფიკული მასალა	
ფოტოები	
ბიბლიოგრაფია	

11. მითითებები კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთან/ძეგლთან დაკავშირებულ სხვა ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო დოკუმენტაციაზე

დაკავშირებულ უძრავ ობიექტთა/ძეგლთა პასპორტები/სააღრიცხვო ბარათები	
ობიექტში/ძეგლში დაცული კულტურული მემკვიდრეობის მოძრავ ობიექტთა/ძეგლთა პასპორტები/სააღრიცხვო ბარათები	
სხვა დოკუმენტები	

12. დამატებითი ინფორმაცია

13. ბარათის შემდგენელი

14. სააღრიცხვო ბარათის შედგენის თარიღი

<u>**დანართი 3**</u>

დამტკიცებულია
საქართველოს კულტურის, ძეგლთა
დაცვისა და სპორტის მინისტრის
ბრძანება №3/175
2007 წლის 25 სექტემბერი
სახელმწიფო სარეგისტრაციო
კოდი 450.190.000.22.028.010.868

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
უძრავი ძეგლის პასპორტი

ფოტო

1. სახელწოდება

2. ადგილმდებარეობა / მისამართი

2.1 ზუსტი მისამართი	
ადმინისტრაციული ერთეული (ავტონომიური რესპუბლიკა, ქალაქი, დაბა, სოფელი)	
ქალაქის რაიონი	
ქუჩა (ქუჩები)	
შენობის №	
2.2 გეოგრაფიული /იტორიული მდებარეობა	
ისტორიული მხარე	
გეოგრაფიული ერთეულის სახელწოდება	
ისტორიული დასახლების სახელწოდება	
მანძილი და მიმართულება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან	

3. სახეობა

არქიტექტურის	
არქეოლოგიური	
საინჟინრო	
მემორიალური	
ქალაქთმშენებლობის (ურბანული)	
საბაღე-საპარკო ხელოვნების და ლანდშაფტური	

არქიტექტურის	
მონუმენტური სახვითი ხელოვნების	
პალეოგრაფიული	
ეთნოგრაფიული	
მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი	

4. სტატუსი და კატეგორია

სტატუსი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
სტატუსის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
სტატუსის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
დოკუმენტის №	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
კატეგორია	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
კატეგორიის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
კატეგორიის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
დოკუმენტის №	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
რეესტრის №		
რეესტრში შეტანის თარიღი		

5. აგების თარიღი (პერიოდი, საუკუნე, ზუსტი თარიღი)

6. ფუნქცია

დასახელება	თავდაპირველი	ამჟამინდელი
1. რელიგიური		
2. სათავდაცვო		
3. საერო		

7. საკუთრება (მესაკუთრე/მესაკუთრეები)

იურიდიული პირი	
ფიზიკური პირი	
და სხვა	

8. ძეგლის მოკლე დახასიათება

9. ძეგლის ფიზიკური მდგომარეობა

9.1 ზოგადი შეფასება (კარგი, საშუალო, ცუდი, ძალიან ცუდი, დანგრეული)

ა) შეფასება არქიტექტურული თვალსაზრისით ბ) შეფასება კონსტრუქციული თვალსაზრისით

9.2 მდგომარეობის მოკლე აღწერა

9.3 დაზიანების გამომწვევი მიზეზი

ბუნებრივი	
ადამიანის ზემოქმედება	
სხვა კონკრეტული მიზეზი	

9.4 მოსალოდნელი საშიშროება და ჩასატარებელი ღონისძიებები

10. მითითება ძეგლის შესახებ არსებულ დოკუმენტაციასა და ბიბლიოგრაფიაზე

პასპორტი/ სააღრიცხვო ბარათი	
უახლესი და საარქივო გრაფიკული მასალა	
უახლესი და საარქივო ფოტოები	
ბიბლიოგრაფია	
საარქივო წყაროები	

11. მითითებები ძეგლთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტაციაზე

დაკავშირებული უძრავ ობიექტთა/ძეგლთა პასპორტები/სააღრიცხვო ბარათები	
ძეგლში დაცული კულტურული მემკვიდრეობის მოძრავ ობიექტთა/ძეგლთა პასპორტები/სააღრიცხვო ბარათები	
სხვა დოკუმენტები	

12. ისტორიული ცნობები

12.1 დაარსების, აღმოჩენის, მშენებლობის, შექმნის ისტორია, ავტორი, დამკვეთი, ნაგებობასთან დაკავშირებული პირები და ორგანიზაციები და სხვ.
12.2 გადაკეთება და/ან დანაკარგი, რამაც შეცვალა ძეგლის თავდაპირველი სახე

13. ძეგლის აღწერა

13.1 გარემო
13.2 არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიცია

13.3 სამშენებლო მასალა და ტექნიკა ა) მზიდი კონსტრუქციები ბ) გადახურვა
13.4 ინფორმაცია მონუმენტური ფერწერის, პლასტიკის და ეპიგრაფიკის ნიმუშებზე

14. მხატვრულ-ისტორიული რეზიუმე

15. ძეგლზე ჩატარებული სამუშაოები (ზოგადი აღწერა, დრო, ავტორი, დოკუმენ-ტაციის შენახვის ადგილი)

16. კარტოგრაფიული მითითება

X კოორდინატი	
Y კოორდინატი	
სიმაღლე ზღვის დონიდან	

17. საკადასტრო ინფორმაცია (მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი)

18. ინფრასტრუქტურა

უახლოესი დასახლებული პუნქტი	
მანძილი სამანქანო გზიდან ძეგლამდე	
მანძილი უახლოესი რკინიგზის სადგურიდან ძეგლამდე	

19. საილუსტრაციო მასალა

ფოტოები	
გენგეგმა/სიტუაციური გეგმა	
გეგმები	
ჭრილები	
ფასადები	
ინტერიერის განშლები	

20. დამცავი ზონის სქემა და ცვლილებები (დოკუმენტის სახელწოდება, თარიღი, ავტორი, სამართლებრივი საფუძველი, გრაფიკული გამოსახულება).

21. დამატებითი ინფორმაცია

22. პასპორტის შემდგენელი

23. პასპორტის შედგენის თარიღი

24. ინფორმაცია ცვლილებების შეტანის შესახებ (თარიღი)